კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი:
ქ. თბილისი, დიღომი, ს/კ 01.72.14.036.171, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საგანი:
მომიჯნავე შენობების უსაფრთხოება მშენებლობის პროცესში

საპროექტო შენობის ტერიტორიას ემიჯნება 7 ნაკვეთი და ჩრდილოეთის მიმართულებით განლაგებული დავარის ქუჩა. მომიჯნავე ნაკვეთების საკადასტრო კოდებია: აღმოსავლეთიდან - ს/კ 01.72.14.036.457 და ს/კ 01.72.14.036.458; სამხრეთიდან - ს/კ 01.72.14.036.246, ს/კ 01.72.14.036.681, ს/კ 01.72.14.036.682 და ს/კ 01.72.14.036.517; დასავლეთიდან - ს/კ 01.72.14.036.172.

შენობები დაფიქსირებულია მხოლოდ ორ ნაკვეთზე. ს/კ 01.72.14.036.458 ნაკვეთზე მდებარე მონოლითური რკინაბეტონის 9 სართულიანი შენობა ახალი აშენებულია. საპროექტო შენობიდან მისი მინიმალური დაშორებაა 15,4 მეტრი. მეორე ნაკვეთზე - ს/კ 01.72.14.036.172 დასასრულს უახლოვდება 10 სართულიანი უსადარფო კორპუსის მშენებლობა. მისი დაშორება საპროექტო შენობის განაპირა ღერძთან არის 195 სმ. აღნიშნული მომიჯნავე შენობის კონსტრუქციები წარმოდგენილია მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ-კავშირებიანი (დიაფრაგმები) სისტემით. საძირკვლებად მიღებულია 80 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის ფილა, რომელიც დაფუძნებულია მყარპლასტიკური კონსისტენციის ღია ყავისფერ თიხნარებზე.

არქიტექტურული გადაწყვეტით საპროექტო 11 სართულიან შენობასაც არ გააჩნია სარდაფი და მისი დაფუძნების ნიშნული თანხვედრია აღნიშნული 10 სართულიანი კორპუსის დაფუძნების ვერტიკალური გეგმარების პარამეტრებთან. რეკომენდებულია საპროექტო შენობის დაფუძნება განხორციელდეს ვიბროტექნიკით დატკეპნილ გრუნტებზე მონოლითური რკინაბეტონის ფილით. საძირკვლის ფილა საპროექტო შენობის კონტურიდან კონსოლურად დაგრძელდეს ჩრდილოეთით და სამხრეთით არანაკლებ ორ-ორი მეტრით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ახალი მშენებლობის წარმოებას არ ექნება ზემოქმედება მომიჯნავე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციებზე, და არ იქონიებს უარყოფით გავლენას მათ მდგრადობა-მზიდუნარიანობაზე.

შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი;
ინჟინერ-კონსტრუქტორი; ტ.მ.დ. ე. წოწერია

თბილისი 28-06-2016

